დანართი 1

დამტკიცებულია: ბრ. 07/01-23, 21/06/2024

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

თბილისი
2024

შესავალი

თანამედროვე გლობალური მსოფლიოს პირობებში საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით, ინტერნაციონალიზაცია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პრიორიტეტია.

დღეისათვის ინტერნაციონალიზაცია თითქმის ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) დღის წესრიგშია შეტანილი. აღნიშნულ პოლიტიკას ასევე აქტიურად უჭერს მხარს ევროკავშირი; შესაბამისად უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია საქართველოსთვისაც უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

წინამდებარე დოკუმენტი აღწერს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ზოგად მიმართულებებს, რომელიც თანხვედრაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან ეროვნულ სტრატეგიასა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დანერგილი ავტორიზაციისა თუ აკრედიტაციის საერთაშორისო სტანდარტებთან.

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში (შემდგომში-უნივერსიტეტი) მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესების ინტერნაციონალიზაციის მიზნით, უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობებისა და შესაბამისი შედეგების ანალიზის საფუძველზე, წარსული გამოცდილების გათვალისწინებით.

ინტერნაციონალიზაციის პროცესის აღწერა

ქვეყანაში დანერგილი კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს შეთავაზებული აქვს სამივე საფეხურის 26 საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისურ ენაზე, რაც შესაძლებელს ხდის საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვასა და გაცვლითი პროგრამების მეშვეობით სტუდენტებისა და პერსონალის მიღებას. ინტერნაციონალიზაცია ხელს უწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და პროგრამების განვითარებას.

უნივერსიტეტში განათლების ხარისხის განვითარებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა მიმართულებებზე, რათა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ჩამოყალიბდნენ საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიან, დემოკრატიული პრინციპებისა და ევროპული ღირებულებების მატარებელ პროფესიონალებად.

საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე ინტეგრაციის, მნიშვნელობის ზრდისა და სანდოობის მოპოვების მიზნით შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებთან. ამჟამად უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს 40 მემორანდუმი, მათ შორის 14 ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს უნივერსიტეტთან. იბსუ არის "მაგნა-კარტა ობსერვატორიის" წევრი და სრულად იზიარებს აღნიშნული ორგანიზაციის ღირებულებებს, როგორებიცაა: აკადემიური თავისუფლება, ინსტიტუციური ავტონომია და საზოგადოების წინაშე თანმდევი პასუხისმგებლობა. იბსუ არის CEEMAN-ის (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მენეჯმენტის განვითარების ასოციაცია) პლატფორმის წევრი; AUF-ის (ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტო) წევრი და აქტიურად თანამშრომლობს

ფრანკოფონიის სააგენტოსთან ფრანგულენოვანი ენის სპეციალისტების მოწვევის კუთხით; ასევე, ყოველწლიურად აქტიურად თანამშრომლობს ამერიკის საელჩოსთან პროექტის "English Language Fellow (EL Fellow) Program" ფარგლებში.

პარტნიორ უნივერსიტეტებთან იბსუ თანამშრომლობს და ხელს უწყობს აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების/პროექტების ორგანიზებასა და მხარდაჭერას. Erasmus+-ის ფარგლებში უნივერსიტეტის სტუდენტები და თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ჩართულია ERASMUS+ CBHE (შესაძლებლობების განვითარება (უმაღლესი განათლება)) პროექტებში და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში.

გაცვლითი პროგრამების განხორციელების კოორდინირებაზე, პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობასა და მათთან ურთიერთობის გაღრმავებაზე პასუხისმგებელია საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი. უნივერსიტეტის მხრიდან სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში ყოველწლიურად მონაწილეობას იღებენ სტუდენტები, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი ისეთ ქვეყნებში როგორებიცაა: პოლონეთი, პორტუგალია, ლატვია, ლიტვა, უნგრეთი, გერმანია, ნიდერლანდების სამეფო, შვედეთი, ბულგარეთი, კვიპროსი, საფრანგეთი, ესპანეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, თურქეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, სამხრეთ კორეა და ა.შ.. საერთაშორისო ურთიერთბების დეპარტამენტმა შეიმუშავა სტრატეგია, რომელმაც სტუდენტთა და თანამშრომელთა მობილობის მხარდამჭერი მომსახურებები და შერჩევის პროცედურები გახადა მაქსიმალურად გამჭვირვალე და ადვილად ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ახორციელებს უცხოელი სტუდენტების მოზიდვას, ზრუნავს მათთვის ხარისხიანი განათლების მიწოდების უზრუნველყოფასა და ინკლუზიური და კომფორტული გარემოს შექმნაზე.

უნივერსიტეტის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესაბამისად საერთაშორსო ურთერთობების დეპარტამენტი გეგმავს განავითაროს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა შემდეგი მიმართულებებით:

1) ინსტიტუციური ინტერნაციონალიზაცია
2) სწავლა-სწავლების ინტერნაციონალიზაცია
3) კვლევის ინტერნაციონალიზაცია

აღნიშნული მიზნის მიღწევისთვის უნივერსიტეტი გეგმავს:

ა) დაამყაროს აქტიური და ეფექტური კომუნიკაცია არსებულ პარტნიორებთა და. ყოველწლიურად გაზარდოს საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობა 10 პროცენტით. იმუშაოს პარტნიორ უნივერსიტეტებთან ახალი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით. აღნიშნული პარტნიორობების საფუძველზე ხელი შეუწყოს თანამშრომელთა საერთაშორისო კვლევით აქტივობებში ჩართვას; ამავე პარტნიორობების საფუძველზე ხელი შეუწყოს და გაზარდოს სტუდენტთა და თანამშრომელთა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის რაოდენობა.

ბ) გაზარდოს უცხოელი ხარისხის მაძიებელი სტუდენტების რაოდენობა; უნივერსიტეტის მიზანია 7-წლიან პერსპექტივაში მკვეთრად გაზარდოს უნივერსიტეტში უცხოელი სტუდენტების რაოდენობა.

გ) უნივერსიტეტის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით გაწევრიანდეს რესპექტაბელურ საერთაშორისო ორგანიზაციებში, მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო გამოფენებსა და ფორუმებში. განახორციელოს აქტიური ქმედებები რათა

უნივერსიტეტმა გადაიწიოს მოწინავე პოზიციებზე საერთაშორისო რანჟირების სისტემებში.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიაა სწავლა-სწავლების და კვლევის საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების შეთავაზება, რომლის შედეგადაც ამზადებს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამის კვალიფიციურ, კონკურენტუნარიან, დემოკრატიული ფასეულობების მქონე თაობას.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხედვა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხედვაა, შექმნას მრავალფეროვნებასა და თანასწორუფლებიანობაზე დაფუძნებული ხარისხიანი, ინოვაციური, საერთაშორისო, თანამედროვე სასწავლო და სამეცნიერო გარემო, რომელიც უნივერსიტეტს მოუტანს ადგილობრივ და საერთაშორისო აღიარებას.

ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული ამოცანები:

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაში ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული ამოცანები განაწილებულია სტრატეგიული რუკის სამივე ნიშნულში: მომხმარებელთა ნიშნული, პროცესების ნიშნული და რესურსების ნიშნული.

მომხმარებელთა ნიშნული:

- C2 - ხარისხის მაძიებელი უცხოელი სტუდენტების რაოდენობის გაზრდა
- C3 - გაცვლითი პროგრამებით სტუდენტების მობილობის ზრდა

პროცესების ნიშნული:

- P5 - ინტერნაციონალიზაცია საგანმანათლებლო პროგრამების დონეზე
- P6 - უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება და იმიჯზე მუდმივი ზრუნვა

რესურსების ნიშნული:

- R5 - ინტერნაციონალიზაცია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დონეზე

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებელი აქტივობები

C2 - ხარისხის მაძიებელი უცხოელი სტუდენტების რაოდენობის გაზრდა

უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი აქტივობები:

- უზრუნველყოფს ჩარიცხვის პროცედურების მხარდამჭერ სერვისებს უცხოელი სტუდენტებისათვის.
- ახორციელებს ბეჭდური/ელექტრონული მარკეტინგული მასალების მომზადებასა და სამიზნე ჯგუფებთან გავრცელებას, ინფორმაციის სხვადასხვა პორტალ(ებ)ზე განთავსებას.
- საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად განსაზღვრავს სამიზნე ქვეყნებს საიდანაც სურს სტუდენტების მოზიდვა და სწავლობს მათი ბაზრის სფეციფიკას, რათა შეიმუშაოს შესაბამისი მოზიდვის გეგმა. ამ კუთხით იძიებს და აფორმებს სტუდენტთა მოზიდვის შეთანხმებას საერთაშორისო აგენტებთან/შუამავალი ორგანიზაციებთან.

- შეიმუშავებს და უცხოელ სტუდენტებს სთავაზობს საერთაშორისო შრომით ბაზარზე მორგებულ სასწავლო პროგრამებს.

საზომი ინდოკატორები:

- ხარისხის მაძიებელი უცხოელი სტუდენტების რაოდენობრივი მაჩვენებელი უცხოენოვან პროგრამებზე (სკოლების მიხედვით)
- უცხოენოვანი პროგრამების შეთავაზების მაჩვენებელი
- საერთაშორისო პარტნიორთა რაოდენობა (სკოლების მიხედვით)

C3 - გაცვლითი პროგრამებით სტუდენტების მობილობის ზრდა

უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი აქტივობები:

- დაამყარებს აქტიურ და ეფექტურ კომუნიკაციას არსებულ პარტნიორ უნივერსიტეტებთან.
- მოიძიებს ახალ პარტნიორებს და აფორმებს თანამშრომლობის ხელშეკრულებებს ევროპის, ამერიკისა და აზიის უნივერსიტეტებთან, რომლის ფარგლებშიც ახორციელებს გაცვლით პროგრამებს.
- მოიპოვებს საერთაშორისო დონორების დაფინანსებას სტუდენტების საერთაშორისო მობილობების ხელშეწყობისა და წახალისებისათვის.
- უზრუნველყოფს შესაბამისი კონკურსების ორგანიზებასა და სტუდენტების შერჩევას გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისათვის უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების მიხედვით.
- უზრუნველყოფს შესაბამისი პროგრამების, პროექტებისა თუ შეთავაზებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას სტუდენტებთან.
- მონაწილეობს საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებში, სამიტებსა თუ ფორუმებში და ახორციელებს უცხოელი სტუდენტების მოზიდვის კამპანიებს.
- უცხოელი სტუდენტების ინტეგრაციისა და მულტიკულტურული გარემოს შექმნის მიზნით, გეგმავს სხვადასხვა ღონისძიებას.

საზომი ინდიკატორები:

- უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროექტების შეთავაზებების მაჩვენებელი
- უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე გაცვლითი ადგილების რაოდენობრივი მაჩვენებელი
- უნივერსიტეტში საერთაშორისო პროგრამებში მონაწილე უცხოელი სტუდენტების რაოდენობრივი მაჩვენებელი

P5 - ინტერნაციონალიზაცია საგანმანათლებლო პროგრამების დონეზე

უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი აქტივობები:

- განსაზღვრავს პროგრამების ნუსხას, რომლის მიხედვითაც შეიმუშავებს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს.
- თანამშრომლობს შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან როგორც ერთობლივი პროგრამების შემუშავებისა და განვითარების, ასევე, უნივერსიტეტის პროგრამებისა და დიპლომის აღიარების მოპოვების მიზნით.
- საერთაშორისო პარტნიორების გამოცდილების გაზიარების შედეგად ნერგავს მოდულური სწავლების სისტემას.

- შეიმუშავებს საზაფხულო სკოლებსა და სხვა მოკლევადიან პროგრამებს შესაბამის პარტნიორებთან ერთად.

საზომი ინდიკატორები:

- საერთაშორისოდ აკრედიტირებული უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა (სკოლების მიხედვით)
- ერთობლივი და ორმაგი ხარისხის პროგრამების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

P6 - უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება და იმიჯზე მუდმივი ზრუნვა

უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი აქტივობები:

- აქტიურად მუშაობს ახალი ადგილობრივი თუ საერთაშორისო პარტნიორების მოძიებისა და მათთან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით.
- თანამშრომლობს დიპლომატიურ კორპუსთან და საერთაშორისო პარტნიორებთან და აწვდის მათ უნივერსიტეტის შესახებ სიახლეებს, იწვევს მათ საუნივერსიტეტო პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.
- მონაწილეობს საერთაშორისო ღონისძიებებში და ზრუნავს უნივერსიტეტის გაწევრიანებაზე ახალ საერთაშორისო ასოციაციებსა თუ პროფესიულ ქსელებში.

საზომი ინდიკატორები:

- საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობრივი მაჩვენებელი.
- საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობის მაჩვენებელი
- განათლების საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მიღების რაოდენობრივი მაჩვენებელი

R5 - ინტერნაციონალიზაცია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დონეზე

უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი აქტივობები:

- თანამშრომლობს არსებულ და იძიებს ახალ საერთაშორისო დონორებსა და პარტნიორებს აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობების ხელშეწყობის მიზნით.
- ხელს უწყობს აკადემიური და ამინისტრაციული პერსონალის მობილობას შესაბამისი მხარდაჭერის სერვისებითა და ინფორმაციის მიწოდებით;
- უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მხარდაჭერასა და ინფორმირებას მათი საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისა და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების მიზნით;
- სკოლების მომართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს უცხოელი სპეციალისტების ვიზიტებს (საჭიროებისამებრ მათთან ხელშეკრულების გაფორმებასაც) უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თუ აკადემიური პერსონალისათვის შესაბამისი ტრენინგების შეთავაზებისათვის.

საზომი ინდიკატორები:

- უცხოელი ლექტორების რაოდენობრივი მაჩვენებელი (სკოლების მიხედვით);

- გაცვლითი პროგრამების შეთავაზების რაოდენობრივი მაჩვენებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის (საუნივერსიტეტო).

ინსტიტუციური ინტერნაციონალიზაციის განვითარების მიზნით უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მექანიზმი:

ინსტიტუციური ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი მიზანია უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მექანიზმები, რომელთაც ხელს უწყობს შემდეგი გარემოებები:

- უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი პერსონალი და საგანმანათლებლო პროგრამები (საერთაშორისო სტუდენტებისათვის მიღების პროცესში კომუნიკაცია ხორციელდება ინგლისურ ენაზე)
- სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები (მისაღებ პროცედურებში დახმარება დოკუმენტების თარგმანისა და აღიარების პროცესებში, ვიზის მისაღებად საჭირო დოკუმენტების წარსადგენად დახმარება);
- ყოველსემესტრული შეხვედრები უცხოელ სტუდენტებთან მათი საჭიროებებისა და შეხედულებების გასაცნობად;
- უცხოელი სტუდენტების ჩართულობა ბილატერალურ გაცვლით პროგრამებში.

სწავლა-სწავლების ინტერნაციონალიზაციის მიზნით უცხოელი პერსონალის მოზიდვის მექანიზმები და პროცედურა

სწავლა-სწავლების ინტერნაციონალიზაციის მიზნით უნივერსიტეტმა შეიმუშავა უცხოელი პერსონალის მოზიდვის მექანიზმები და პროცედურა:

- სტუდენტების საგანმანათლებლო კუთხით განვითარებისა და საერთაშორისო განათლების სფეროში ინტეგრირების მიზნით უნივერსიტეტი აქტიურად ზრუნავს უცხოელი პერსონალის მოზიდვაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე იბსუ აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა პარტნიორ საერთაშორისო უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან.
- უცხოელი სპეციალისტის მოწვევის საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სკოლა ელექტრონული ფოსტის საშუალებით (iro@ibsu.edu.ge) მიმართავს მოთხოვნით საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს. სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების ინტერესებიდან გამომდინარე უნივერსიტეტი მოიძიებს და ითანამშრომლებს რელევანტური სფეროს ექსპერტებთან. სკოლები განსაზღვრავენ იმ პროგრამებს/კურსებს, რომლებზეც სურთ უცხოელი პერსონალის მოწვევა. უცხოელი სპეციალისტის მოწვევაზე საბოლოო დასტურს გასცემს უნივერსიტეტის რექტორი.
- საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი უცხოელი პერსონალისთვის უზრუნველყოფს მხარდამჭერ სერვისებს როგორიცაა: სავიზო პროცედურისთვის საჭირო დოკუმენტების მიწოდება, საცხოვრებლის მოძიების პროცესში ასისტირება, სოციალური აქტივობების დაგეგმვა და ა.შ.